




სასათხსო ფურცელი

სურათებიანი ჟამათი

გაზეთის № 278

ლაგატივის № 50

შაბათი, 9 მაისი 1915 წ.



პრაპორ. გიორგი ალექსის ძე გელაშვილი (მოკლულია).}

მე და ყვავილი

ლექსი პროზად.

რა მშვენიერი დილაა. აგერ მზემაც თავი ამოყო, გადმოხედა ქვეყნიერებას და ისე ააფერადა, რომ სიცოცხლესთან უკვდავებაც მოაწყურა გარშემო ყველას.

მთაზე ნისლი წამოიშალა... შორს, წვერვალისკენ წყნარად გასწია და ტან წერწეტა, კულულ გაშლილ მაღალ ნაძვნარებს ისეთ ნაირად შემოეხვია და ისეთი უცნაური სახეება მისცა, გეგონებათ დილა-ადრიან ნაბანავ ქალწულთ ტანზე ზეწარი შემოუსხავთო და ფრიად ნაზი თვისი სხეული თეთრ სამოსელით დაუფარავთო...

ჩანჩქერი ხევში იმ წამს უფრო ახმაურდა. ქუსს გიჟურად და ქვიდან ქვაზე ისეთ ნაირად მოასკდება, მოიკლაკნება, თითქოს სატროფო იმ კლდე-ღრეში დამალვოდეს და იქ ეძებდეს. აგერ ყვავილიც...

მთის ფერდობზე გადმომდგარა და არე-მარეს ისეთი სახით გასცქერის, თითქოს მისი მშვენიერება თავდები იყოს ქვეყნის ხსნისა და უკვდავებისა.

სიოსაგან შერხეული გულში ჩაკრულ მხოლოდ ერთ წვეთ დილის ცვარ-ნაშს მზის სხივებზე აღმასივით აციმციმებს და ათრთოლებს.

ახ, რომ ხედავდე თვით შენ ყვავილო, რა ლამაზი ხარ!

ახ, რომ იცოდე რა უმანკო და რა ნაზი ხარ!...

მაგრამ რამდენადაც თალ-წარმტაცი ხარ, იმდენად უფრო გული სევდას გრძნობს და სულით ვწუხარ.

მე რომ შენ გიმზერ მთლად ჩემი ბედი უცნაურად თვალწინ მეშლება და მისწრაფება ქვეყნის ცნობისა შფოთად მეცვლება...

ნეტა რად გიკვირს, რისთვის გიყვარს ეს მრავალ ფერი და ასე ჭრელი ქვეყნიერება?

დგებარ ფერდობზე და მზის სხივებს ისე შესვინი, თითქოს მწუხრის ეამს ეს უსაზღვრო ცა შავად არ მოიქუშება; თითქოს ნიავი, ეგრე ალერსით მოსაუბრე, ქარტეხილად არ გადიქცევა, შორით მთებიდან, როგორც ალქაჯი, თავზე მძლავრად არ დაგატყდება და მის შეხებით სიცოცხლის ძაფი იმავე წამს, თითქოს, არ შეგიწყდება.

ღიახ, მოკვდები, განადგურდები, მაგრამ რა არის აქ საწყენი და სატანჯველი?..

შენ შენი ნებით როდის მოხველ აქ საცხოვრებლად, ან ვინა გკითხა გასურდა ცხოვრება ამ წუთი სოფლად, თუ არა გასურდა?

მაშ რაღად ვინდა რომ მუდამ იყო, რა უფლებით გასურს, რომ შენი ნებით უკვდავი იყო?

განა მზის ძალამ არ წამოგშობა, მისმა ვნებამ არ წამოგხარდა და სილამაზეც მან არ გიბოძა?

მაშ რისთვისა გწყენს, რომ როცა იგი მთის გადაღმა შავღრუბელს მიეფარება, შენც ალიგვები ამ ქვეყნიდან და ეგ უმანკო შენი სხეული შავ მიწას მიებარება.....

აი, მეც ეგ ვარ, ჩემო ყვავილო! მეც შენსავით თუ ცხოვრების მზე ხელ მომიწყობს—დიდებული ვარ; როცა ღიადი ცხოვრების შუქი შემომანათებს—თვით მეც ვანათებ და მთელი ქვეყნის შემაცნობელი—გენიოსიც ვარ, მაგრამ ნამდვილად, ჩემო ყვავილო, მხოლოდ ზღაპრის აი ამ გვარი დასაწყისი ვარ: იყო და არა იყო რა!...

ცქვიტი.





კაპიტ. ივანე კალაშოვიშვილი (დაჭრილი).



პოდპ. ვლადიმერ მუშუკულიანი (ჭრილობებისაგან გარდაიცვალა).



პრაპ. შალვა ოქროპირიძე (ჩვედ წაყვანილი).



პრაპ. ბიძინა ოქროპირიძე (დაჭრილი). (სტუდენტობის დროს).

ბ უ რ უ ს ი

პიესა სამ მოქმედებად.

(შემდეგი *)

დათა. (ლამპას აანთებს. მაგიდის უჯრიდან ქაღალდებს ამოიღებს და ათვალიერებს. თუმცა დათას სამეცადინოდ ცალკე კაბინეთი აქვს, მაგრამ ხანდახან სასტუმრო ოთახშიაც შეცადინობს, სადაც კუთხეში დიდი სამწერლო მაგიდა უდგას).

ბაბო. (ფეხაკრფით შემოდის. დათას ერიდება. უკვე კარებთან არის მისული).

დათა. ბაბიკო, ნესტორი ბაღში დასტოვე?

ბაბო. არა, ის ეხლავე მოვა.

დათა. მამაჩემი ჩამოვიდა.

ბაბო. პლატონი?

დათა. ჰო, შენი წაყვანა უნდა.

ბაბო. ჩემი წაყვანა?

დათა. შენ როგორ გინდა?

ბაბო. (თავს ჩალუნავს).

დათა. არ ინაღვლო, ჩემო ბაბიკო. შენ აქ დარჩები, თუ გინდა ათასმა მამამ მოინდომოს შენი აქედან წაყვანა. ენკენისთვეში ნესტორთან ერთად მოსკოვში გაგამგზავრებ. იქ კონსერვატორიაში შეხვალ და, იმედია, გამოჩენილი მუსიკოსი გახდები.

ბაბო. (დათასკენ მიიწივს) ო, დავით, რა მადლობელი ვარ. (აღფრთოვანებით შეჰყურებს, მადლობის ნიშნად ხელს ართმევს). რა კეთილი ხართ!

დათა. (შეკრთება. ერთს ხანს ბაბოს ხელი უჭერია) ეხლა წადი, ბაბიკო, მოისვენე! (ბაბო ნელის ბიჯით გადის).

დათა. (კვლავ ქაღალდებს უბრუნდება).

ნესტორ. (შემოდის. ცოტა ხნით კარებში შეჩერდება. დავითს შეჰყურებს. დავითი მას ყურადღებას არ აქცევს. ნესტორი მეორე კარებისაკენ მიდის. მაგრამ დაბრუნდება და დავითის მაგიდას მიუჯდება).

დათა. ხვალ ძალიან რთული საქმე მაქვს სასამართლოში და საქმეს ვათვალიერებ. (სიჩუმეა).

დათა. ნესტორ, მწერლობას თავი ხომ არ დაანებე? შენმა „მთის შვილმა“ ვერ მოახდინა შესაფერი შთაბეჭდილება, მაგრამ ეგ არაფერია, პირველი ნაბიჯი ყოველთვის ასეთია. ნუ მიანებებ თავს. კარგი საქმეა. (ლაპარაკის დროს ქაღალდებს ათვალიერებს).

ნესტორ. ძალიან გაწყენინე, დავით, არა?

დათა. ო, სულაც არა. მართლა, მამა ჩამოვიდა. (ნესტორი არაფერს უპასუხებს) კაცო, მამა ჩამოვიდა.

ნესტორ. კარგი უქმნია.

დათა. შენ ხომ არ იცოდი, რომ უნდა ჩამოსულიყო?

ნესტორ. ვთქვათ,—ვიცოდი...

დათა. როგორ?

ნესტორ. ეგ არაფერია, დავით. შენ ის მითხარი, ძალიან გაწყენინე?

დათა. ყმაწვილი ხარ—არაფერი გაგემტყუნება.

ნესტორ. არც იმდენად უსუსური ვარ, რომ ს: ყვედური არ შეთქმოდეს.

დათა. რა საჭიროა. (სხვა ლაპარაკს იწყებს) ძალიან მწყინს, რომ შენც იურიდიულზე შეხველ. ვეჭილობა ძნელი ხელობაა. გირჩევ მწერლობას არ დაეთხოვო.

ნესტორ. ჩართველი მწერალი მარტო მწერლობით ხომ ვერ ირჩენს თავს. იგი იძულებულია ან მოხელედ გახდეს, ან და რაიმე ხელობა დაიწყოს, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

დათა. ო, ეს არაფერია, ნესტორ. ნივთიერად უზრუნველყოფა არც ისეთი დიდი განძია, რომ მისთვის შენს პირდაპირ მოწოდებას უღალატო. საქმეა, ნესტორ, სულიერად ავადმყოფობა, დიან, სულიერი დავრდომილება.

ნესტორ. მე მაინც არ მიპასუხე, დავით.

დათა. შენი საქციელის შესახებ? აკი გითხარი,—ყმაწვილი ხარ და არაფერი გაგემტყუნება.

ნესტორ. მე ვფიქრობ, დავით, რომ შენ ბაბიკო გიყვარს.

დათა. (გაოცდება. მაშინვე პასუხს არ მისცემს. რალაც იღუპალი გამომეტყველებით შეჰყურებს ნესტორს. ნესტორი წამოდგება და თავჩაქიდული დგას დათას წინ, როგორც დამნაშავე).

დათა. (მასში უეცრივ ხდება ცვლილება. ბრაზმორეული წაგოდება და ხელებით მაგიდას დაეყრდნობა). უტიფარო ბაღო!

ნესტორ. ეგ ვერაფერი თავის ბართლებაა, დავით.

დათა. რომელი თავის ბართლება? შენს წინ ვიმართლო თავი?

ნესტორ. შენი ნებაა.

დათა. საკვირველია: სტუდენტი, ახალგაზრდა, იდეური კაცი და ყოველგვარ სიფაქიზეს მოკლებული. გრცხვენოდეს!

ნესტორ. კითხვა სერიოზულ საგანს შეეხება, დავით. იქნება არც ისეთი მოუხეშავი და უტიფარი ვიყო, მაგრამ მე მალაპარაკებს იმ მდგომარეობის აუტანლობა, რომელიც მაგ სიყვარულს მოჰყვება.

დათა. იცი, რა გითხრა, ხელს ნუ მიშლი და შენს საწოლ ოთახში გაემგზავრე. ხვალ დიდი საქმე მაქვს და ჯერეც არ მოვმზადებულვარ.

ნესტორ. ბოდიშს ვითხოვ. (კარებისაკენ მიბრუნდება და გასვლას აპირებს).

დათა. (ნესტორისაკენ გაექანება და მას ხელებს დაუჭერს) მოითმინე, ნუ თუ ძალიან გსურს, რომ ჩემი გულის მესაიდუმლე გახდე? რად კისრულობ ასეთ მძიმე და უმადურ ტვირთს!

ნესტორ. (თავ ჩაქიდული) ბაბიკო მეც მიყვარს, ამაში დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი (სიჩუმეა).

დათა. (მაგიდასთან მიდის) ხვალ ბრალდებული უნდა დავიცვა და ჯერ საქმის ვითარებასაც არ ვიცნობ (მაგიდას მიუჯდება) გთხოვ! (კარებს უჩვენებს).

ნესტორ. (გადის).

დათა. (მაგიდაზე დაეყრდნობა).

თეკლე. (შემოდის. კარებში ჩერდება და დათას ნაღვლიანად შეჰყურებს. დათა მას ვერ ამჩნევს).

დათა. (უეცრივ ქვითინს დაიწყებს. შემდეგ თავს ასწევს, თეკლეს შეხედავს და გაწბილებული ა! ა! ა! თეკლე?

თეკლე. არაფერია, დავით, არაფერია...

*) იხ. სურათებიანი ლამაზება № 49.

ომი დასავლეთის ასპარეზზე



ინგლისელების ცხენოსანთა იერიში.

მოქმედება მორა.

სცენა ჩვეულებრივ სავეტილო კაბინეტს წარმოადგენს. კედლებზე სურათები ჰკიდია. კუთხეში წიგნების თაროა და მოსჩანს კანონთა დებულების კრებული რამოდენიმე ტომად. სცენის შუა ადგილას საწერი მაგიდაა და მასზედ საქმეების ქაღალდები.

ფარდის ახდისა შემოდის დათა პალტოთი და ქუდით. ჩვეულებრივად დაღონებული და ჩაფიქრებულია. მაგიდას მიუჯდება და ქაღალდებს უგულოდ ათვალიერებს. ზარს რეკს.

ბესიკ. (შემოდის) რას მიბრძანებთ, ბატონო?

დათა. ბესიკ, სამხატვროდან რალაც უნდა მომიტანონ. გამოართვი და აქ შემოიტანე.

ბესიკ. მესმის, ბატონო. სხვას არაფერს მიბრძანებთ?

დათა. ჰო, ეს პალტო და ქუდი გაიტანე (იხდის და აძლევს. ისმის ზარის რეკა). ვინ უნდა იყოს? თუ უცხო ვინმეა, უთხარი, რომ შინ არა ვარ.

ბესიკ. მესმის, ბატონო. (გადის).

გაბო. (შემოდის) ესეც ჩემი დებიუტი.

დათა. წააგე?

გაბო. წავაგე კი არა. სულ დაბადების დღე ვიწყევლე.

დათა. მაშ რა გეგონა, ახლად გამომცხვარო ადვოკატო. ხომ დარწმუნდი, რომ მართალი და მარტივი საქმის წაგებაც ადვილია.

გაბო. წყევლიმც იყოს ეს ვეჭილობა.

დათა. ერიჰა! რას იწყევლები!

გაბო. შეჩვენდეს მაგის, მომტანი!

დათა. ჰაი, ჰაი! ძალიან კი გაუწმენდიხარ თავმჯდომარეს.

გაბო. შენ საიდან იცი?

დათა. მე ხომ კაი ხნის გამოცდილება მაქვს...

გაბო. ოცდა რვა წლის კაცი ვარ და ამდენი შეურაცყოფა ჩემთვის ჯერ არავის მიუყენებია: ხმის ამოღება არ მაცალა იმ ოჯახ დაქცეულმა.

დათა. მაგრამ ისიც ხშირი მოვლენაა, რომ ახალგაზდა ვეჭილი თვითონაც ვერ ახერხებს ხმის ამოღებას.

გაბო. წარმოიდგინე, აბა, წარმოიდგინე. არა, რა მომივიდა მაინც გუშინ თავი არ ამიღია. ასე მეგონა მთელი საქმე დაწვრილებით მქონდა შესწავლილი. გამოვედი და ყველაფერი გაჰქრა თავი-

დან. დასწყევლოს ღმერთმა. მორჩა, გათავდა, ხვალვე შევედივარ სახანო პალატაში და ჩინოვნიკის კაკარდას ვყიდულობ.

დათა. ჰაჰა! სოციალ-დემოკრატი და კაკარდიანი ქუდი!.. კარგი დალია!..

გაბო. შენ მაინც უნდა მიხვდე, დავით, რომ კაკარდა სულაც არ შეუშლის ხელს ჩემს წმინდა რწმენას.

დათა. ო, დავითხოვოთ ამას, გაბო. მე ვხუმრობ თორემ ეხლა არაფრად მაინტერესებს არც შენი სოციალ-დემოკრატობა და არც კაკარდიანი ქუდი.

გაბო. დათა, ამ ბოლო ხანს შენში ცვლილებას ვამჩნევ. ვერ გამიგია, რა მიზეზი უნდა იყოს?

დათა. გინდა გაიგო?

გაბო. კაცო, რა უნდა იყოს? სთქვი?

დათა. ერთი რამ უნდა გითხრა და ნუ გაიცინებ.

გაბო. ვისმინ.

დათა. ბევრი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდის მივედი, რომ თანამედროვე ინტელიგენციას განწმენდა ესაჭიროება, გესმის, სულიერად განწმენდა.

გაბო. ინტელიგენცია ეხლაც და წინეც ერთი და იგივე იყო და არის. ის მუდამ ორკოფობის გზას ადგა. მის განწმენდის რადიკალური ზომები, რომლის მოხდენა მხოლოდ ხალხს შეუძლიან.

დათა. გეთანხმები. მე ვფიქრობ, რომ ხალხის გულში უფრო წმინდა და ფაქიზი გრძობაა, ვიდრე ჩვენში. ამისათვის ჩვენთვის სასარგებლოა ხალხს დაუახლოვდეთ.

გაბო. მშვენიერი აზრი მოგსვლია, დავით.

დათა. დიახ, მე მინდა ხალხს დაუახლოვდე. ამისათვის გადაწყვიტე სოფელში წასვლა და ხელში თოხის აღება.

გაბო. მაგნაირ რომანტიკოსობის დრო კაი ხანია გავიდა, დავით. ეხლა სხვა ხანაა.

დათა. თუ კი მე ეს მომწონს, თუ მე ვფიქრობ, რომ ჩემი მდგომარეობისათვის ეს საუკეთესო გამოსასვლელი გზაა, რა შუაში უნდა იყოს აქ რომანტიკოსობა ან სხვა რამე! ადამიანის სული, გაბო, არ ემორჩილება არც გეგმას და არც დროთა ვითარებას. ის ბნელი სარდაფია და ერთს წუთსაც ვერ იქნები დარწმუნებული, რომ მის სიღრმეში არ დაიწვილებს საშიშარი რამ, რომ მის სიღრმეში არ აენთება მგზნებაღე ცეცხლი, რომ მის სიღრმიდან არ აღმოხეთქს აზვირთებული ზღვის ტალღა. და, აი, აენტო ცეცხლი, და, აი, ამოხეთქა

მან. და იგი ანადგურებს, აქარწყლებს ადამიანის გულს... რას ურჩევდი შენ ასეთ ადამიანს? რა უფლება გვაქვს ჩვენის მიზეზით სხვა დაიტანჯოს? აბა მითხარი?

გაბო. ნუ თუ შენს მდგომარეობაზე ამბობ, დავით?!

დათა. შენ როგორა ფიქრობ, მე ძალიან მიყვარს თეკლე?

გაბო. (გაოცებით) მე ვფიქრობ, რომ თეკლესადმი არა სიყვარული რალაც გაუგებარი რამ იქნებოდა.

დათა. მეც სწორედ მაგრე ვფიქრობ.

გაბო. მაშ, რისთვის შეგიოხებოდი?

დათა. იმისთვის ჩემო გაბო, რომ მე თეკლე გაგიყვებით მიყვარს.

გაბო. ამაში მე ეჭვი არ მქონია. არ ვიცი მხოლოდ, რას ნიშნავს შენი ლაპარი.

დათა. იმას, გაბო, რომ შესაძლებელია არც ისე გაგიყვებით მიყვარდეს ჩემი თეკლე.

გაბო. რა ხდება, დათა, რა ამბავია?

დათა. (ღუმლის შემდეგ) გახსოვს, გაბო, შარშან რა პატარა ბავშვი იყო ჩვენი ბაბიკო! მას ხშირად დავუჭერდი ხოლმე ხელებს, თმებზე ხელს გადაუსვამდი და ვეაღერებოდი.

გაბო. (რალაცას მიმხედარი...) ნუ თუ...

დათა. (აწყვეტინებს) ყური დამიდევ. ერთს დღეს მე და ბაბიკოს გარდა სახლში არავინ იყო. ბაბიკო თავის ოთახში პიანინოზე უკრავდა. ერთი ჰანგი რალაც არაჩვეულებრივად ჩამესმა გულში. ინსტინქტიურად წამოვდექი, ბაბიკოს ოთახისაკენ გავექანე და...

გაბო. მერე?!

დათა. და ვაკოცე მას ისეთი გრძობით, როგორცაც მამაკაცი ქალს ჰკოცნის.

გაბო. (ჩაფიქრებული და დაღონებული) ჰმ!!

დათა. მას შემდეგ გულიდან აღარ ამოიფხვნა ეს გრძობა. იგი, როგორც ვხედავ, სამუდამოდ ჩაბუღდა შიგ და აღბად გაჭკრება მაშინ, როცა მე თვითონ გავჭკრები.

გაბო. (თანაგრძობით) დავით, დავით, ეს ხშირი მოვლენაა. უნდა ებრძოლო, სასტიკად ებრძოლო ამ გრძობას.

დათა. უნდა ვებრძოლო! მე კი მეგონა გამამხნეებდი: მეტყოლი, რომ ბრძოლა ასეთს შემთხვევაში უმიზნო და უაზრო არის... ვეღარ გამამხნევე... რა ვუყოთ...

ბესიკ. (შემოდის) მოიტანეს, ბატონო.

დათა. გამოართვი და აქ შემოიტანე.

ბესიკ. (გადის).

დათა. ესლა დამეთანხმები, მეგონია, რომ ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცისათვის სულ ერთი არის პოლიტიკური პარტია, საზოგადო მოღვაწეობა, ჩინი, კაკარდა... ხომ?

გაბო. დავით, წავიდეთ, მაგრამ სოფელში კი არა, არამედ სხვა ქალაქში, სადმე სხვა ადგილას...

დათა. რისთვის, ან სად?

გაბო. მე ვფიქრობ, დავით, რომ ძალიან ძნელია შენი მდგომარეობიდან წმინდად და პატიოსნად გამოსვლა. ამისთვის მართლაც რომ საჭიროა მოშორდე ამ არე-მარეს, მოშორდე თვით შენს ხელობას—ვექილობას და სხვა ასპარეზზე სცადო შენი ძალ-ღონე.

დათა. (უფულოთ) რადიკალურ ზომებს მივმართო არა?

ბესიკ. (შემოდის და შემოაქვს ქალაქში გახვეული სურათი).

გაბო. დათა, საღამოს გავისეირნოთ ზღვის პირად. რალაც კიდევ უნდა გითხრა. ესლა კი ერთს კაცთან მივდივარ, იქნებ პროტექტორი გამიწიოს. ნახვამდის. (გადის).

ბესიკ. სად დავდო, ბატონო?

დათა. აი იქ კუთხეში.

(ბესიკი სურათს კუთხეში მრგვალ მაგიდაზე სდებს).

დათა. სად წავიდნენ?

ბესიკ. ბატონი პლატონ, ქალბატონი თეკლე და ბატონი ნესტორ ერთად გავიდნენ. ასე დამიბარეს, თუ ბატონი დავით მობრძანდეს, უთხარი მალე დაბრუნდებითო.

დათა. ბაბიკო?

ბესიკ. ბაბო სახლში ბრძანდება. როცა მოვიდა, თქვენ გიკითხათ და რომ გაიგო თქვენთან სტუმარი ბრძანდებოდა, თავის ოთახში შევიდა.

დათა. ბევრი სამუშაო მაქვს და, თუ ვინმემ მიკითხოს, არ მიიღო. უთხარი, შინ არ არის თქო.

ბესიკ. მესმის, ბატონო. (გადის).

დათა. (სურათს გაშლის. დიდხანს უესცქერის. შემდეგ საწერ მაგიდას მიუჯდება და წიგნებს ათვალთვებს. ხშირად წამოსწევს თავს და სურათს აჩერდება. ვაჟა რამოდენიმე ხანი. სასტუმრო ოთახიდან პიანინოს ხმა მოისმის—ბაბიკო უკრავს. დათას გასკრული კახულებს, ვენებით აღვსილი, წამოდება. კარებთან მიდის და სმენად გადაიქცევა. სწრაფად გადის. მალე პიანინოს ხმა შეწყდება და მოისმის ბაბოს ერთი შეკვივება. გაფითრებული და თვალბ-ამღვრული, დაბრუნდება დათა. კუთხეში მიდგება და უცნაურად გამოიყურება. მაშინვე ბაბო შემოდის).

ბიდან პიანინოს ხმა მოისმის—ბაბიკო უკრავს. დათას გასკრული კახულებს, ვენებით აღვსილი, წამოდება. კარებთან მიდის და სმენად გადაიქცევა. სწრაფად გადის. მალე პიანინოს ხმა შეწყდება და მოისმის ბაბოს ერთი შეკვივება. გაფითრებული და თვალბ-ამღვრული, დაბრუნდება დათა. კუთხეში მიდგება და უცნაურად გამოიყურება. მაშინვე ბაბო შემოდის).

ბაბო. (დათას უცქერის გაოცებით) დავით! დავით!

დათა. არაფერია, არაფერი, ბაბო. ხოლო იცი, ჩემო გოგონა, სხვა რამე დაუკარი. ის ჰანგი, რომელიც ესლა მომესმა, არ მიყვარს. არ გაიკვირვო, არ იფიქრო, თითქოს მე ჰკუაზე შერყეულიყო, ან და რაიმე არა ჩვეულებრივი შემხედნოდეს. მე ესლაგ ავიხსნი და შენ თვითონ მიხვდები, რომ მაგ ჰანგის გაგონება ჩემთვის ძალიან საძნელოა. სტუდენტობის დროს მე ერთი ახლობელი და ძალიან ერთგული ამხანაგი მყავდა. ვერც კი წარმომედგინა, თუ უმისოდ ცხოვრებას შევძლებდი. ერთს დღეს გამიხდა მე იგი მძიმე ავად—დიდ ხან აღარ წოლილა, მალე მომიკვდა.

ბაბო. და ჩემმა პიანინოზე დაკვრამ ის ამხანაგი მოგაგონა, დავით?

დათა. როცა გულზე მყავდა მიწოლილი და ის საწყალი სიცოცხლეს ებრძოდა, სწორედ იმ დროს, როცა უკანასკნელად ამოისუნთქა, ახლობელ ბინიდან მაგნაირი მომესმა. საძაგელი რამ გამოვსცადე მაშინ და ამისთვის არის, რომ მაგ ჰანგის მოსმენა ძალიან შეძნელება.

ბაბო (ჩაფიქრდება. რალაცას იგონებს) გახსოვს, დავით, კი ხნის წინედ სწორედ ამ პიესას ვუკრავდი, როცა შენ მოხველ ჩემთან, მაგრად ჩამკიდე ხელი, მოულოდნელად მაკოცე, და თვალები რალაც ნაირ სევდით აგვესო. სწორედ ეს ჰანგი იყო მაშინაც.

დათა. კარგად დამიხსნომე ის წამი!

ბაბო. ჩემს-დღეში არ დამავიწყდება.

დათა. დამაკვირდი, ბაბო, მაშინაც ასეთი გამომეტყველება მქონდა, როგორც ესლა?

ბაბო. ეს აღარ ვიცი, დავით. მახსოვს მხოლოდ, რომ რალაც უცნაური გრძობა აღმეძრა თქვენდამი.

დათა. და მერე ის კოცნა ხომ ძმური სიყვარულით იყო გამოწვეული!

ბაბო. მე კა ვიგრძენი, რომ ის კოცნა ჩვეულებრივი არ იყო.

დათა. როგორ, ბაბო! რა გიფიქრია?!

ბაბო. ასე ვიგრძენი, დავით, და ეს მით უფრო იყო ჩემთვის უცნაური, რომ მას შემდეგ, რაც გიცნობთ, როგორც მკვიდრ ძმას, ისე გიყურებთ.

დათა. საკვირველია, საკვირველი.

ბაბო. ჰო, დავით, მართლაც რომ საკვირველია, მაგრამ მე აღბად ვცდებოდი. უკაცრავად, მაგრამ მე მინდა გკითხოთ, რად არის თეკლე მოწყენილი?

დათა. (შეკრთება) თეკლე?! სცდები, ბაბო! თეკლე სულაც არ არის მოწყენილი. თეკლე საზოგადოდ დინჯი ქალია და მაინც და მაინც აღფრთოვანებული არასოდეს ყოფილა.

ბაბო. არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ კარგად ვამჩნევ, რომ თეკლე ის აღარ არის, რაც წინედ იყო.

დათა. (მიუახლოვდება. ერთს ხანს უსიტყვოდ დგას. მერე ბაბოს ხელებს დაუჭერს) შენ ისეთი უმანკო, ისეთი წმინდა ბავში ხარ... ო, რომ იცოდე, რა კარგი არის უმანკოება. (ეაღერებს) ჩემო ანგელოზო, ჩემო კარგო გოგონა! იცი, ბაბიკო, მე მინდა შენთან ერთად სადმე შორს ქვეყანაში მეზავრობა. დღეს ვფიქრობდი და სამეზავროდ იტალია ვარჩიე. იქ ხალხი უფრო ფაქიზია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. იქ, ბაბო, ბუნება მუდამ გალობს და მზის სხივები უფრო ათბობს ადამიანის გულს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ო, რა კარგი მეზავრობა გვექნება... წარმოიდგინე, ბაბო, მე მხოლოდ ესლა ვგრძნობ სიცოცხლის სურვილს. აი ესლა, როცა შენს ახლოს ვარ და შენს უმანკო სახეს უესცქერის, ჩემს გულს ათასნაირი გრძობა ევლება. ხან დიდს კოშკს წარმოვიდგენ, რომლის სიმაღლიდან მე და შენ ქვეყანას ვატაცებთ გადაყურებთ, ხან... (უცებ შესწყვეტს, შემდეგ სურათზე უთითებს).

(შემდეგი იქნება).

სიო კანტურიშვილი.

